ოქმი №9

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომისა, რომელიც გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში 2025 წლის 30 სექტემბერს.

სხდომა დაიწყო 12:00 საათზე, დამთავრდა 12:20 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ: კომისიის წევრები – გ. წურწუმია, ლ. ჯინორია, ბ. კალანდარიშვილი, ბ. შარტავა, ზ. ყურაშვილი, ე. ოდიშარია.

სხდომას თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე – გ. წურწუმია.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მ/წლის 22 აგვისტოს შემოსული განცხადების 19/41252344-41 განხილვის თაობაზე, ვენე არჩაიას ქუჩის ნაწილის სახელწოდების ცვლილებასთან დაკავშირებით (დაერქვას ალექსანდრე (კუკური) ჩაჩიბაიას სახელი)

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: გ. წურწუმია

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დღის წესრიგს (მომხრე – 6; წინააღმდეგი – 0). სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიამ განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

მოისმინეს: 1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მ/წლის 22 აგვისტოს შემოსული განცხადების 19/41252344-41 განხილვის თაობაზე, ვენე არჩაიას ქუჩის ნაწილის სახელწოდების ცვლილებასთან დაკავშირებით (დაერქვას ალექსანდრე (კუკური) ჩაჩიბაიას სახელი)

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: გ. წურწუმია

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მ/წლის 22 აგვისტოს შემოსული განცხადება 19/41252344-41 ვენე არჩაიას ქუჩის ნაწილის სახელწოდების ცვლილებასთან დაკავშირებით (დაერქვას ალექსანდრე (კუკური) ჩაჩიბაიას სახელი).

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 6, წინააღმდეგი - 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. მომზადდეს განკარგულების პროექტი და დასკვნა რათა წარედგინოს საკრებულოს თავმჯდომარეს, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში გადასაგზავნად სარეგისტრაციო ნომრის მინიჭებასთან დაკავშირებით, შემდეგ სამთავრობო კომისიაში დადებითი დასკვნის მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარე: გიგა წურწუმია